

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში
საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 40-კოლ 24 იანვარი, 2002 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

მერაბ ტურავა (თავმჯდომარე),
ვალერი ხრუსტალი,
ბადრი მეტრეველი,
გოდერძი ბორჩხაძე (მომხსენებელი),
ნინო გვენეტაძე,
თამარ ლალიაშვილი,
ნანა კლარჯეიშვილი,
როზა ნადირიანი,
ბესიკ კობერიძე

მდივანი – მ. ხოსროშვილი

სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროკურორი – გ. მ.-ე
ადვოკატები - ა. კ.-ე, ვ. ქ.-ა
მსჯავრდებული – თ. მ.-ი
დაზარალებულის უფლებამონაცვლე – ნ. კ.-ი

განიხილა ადვოკატ ა. კ.-ის საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 24 აპრილის განაჩენზე, რომლითაც თ. მ.-ლი, დაბადებული წელს, ქართველი, უპარტიო, ცოლშვილიანი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

საკასაციო საჩივარი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

გასაჩივრებული განაჩენით თ. მ.-ს მსჯავრი დაელო შემდეგი ბრალდებით: 2000 წლის 30 აპრილს, დაახლოებით 20 საათზე, არაფნიზელ მდგომარეობაში მყოფმა,ის რაიონის სოფელში, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოს ჭიშკრის მახლობლად, ურთიერთშეურაცხყოფისა და ჩხუბის გამო, შურისძიების მოტივით, დამამძიმებელ გარემოებაში, დაზარალებულის მცირეწლოვანი შვილების – გ. და ტ. ო.-ის, ასევე დისშვილის – ლ. გ.-ის თვალწინ, განსაკუთრებული სისასტიკით, სახლიდან გამოტანილი ორლულიანი სანადირო თოფიდან 10-12 მეტრის მანძილიდან კისრის არეში დამიზნებული გასროლით განზრახ მოკლა მ. ო.-ი, რითაც განსაკუთრებული ტანჯვა და წამება მიაყენა მკვლელობის ფაქტის უშუალო მნახველ, ზემოაღნიშნულ მცირეწლოვან ბავშვებს.

განაჩენის გაუქმებისა და საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების საფუძვლად საკასაციო საჩივარი მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს:

1. გამოძიებასა და სასამართლოს უტყუარად არ დაუდგენიათ, მართლაც ჩაიდინა თუ არა თ. მ.-ლმა 2000 წლის 30 აპრილს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. აქედან გამომდინარე, წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას;
2. განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს;
3. სასამართლოს არ უმსჯელია და არ ჩაუტარებია კანონით სავალდებულო ექსპერტიზა;
4. ბრალდებული და დამცველი არ ყოფილან უზრუნველყოფილი საქმის მთლიანი მასალების გაცნობის შესაძლებლობით. მათ არც კი შეატყობინეს საქმეზე გამოძიების დამთავრება;
5. ბრალდებული კანონით დადგენილი წესით სამართალში არ არის მიცემული;
6. საქმე გამოძიებულ იქნა დამცველის მონაწილეობის გარეშე, რაც კანონით დაუშვებელია.
7. საქმეზე, არასწორი იურიდიული კვალიფიკაციის განსაზღვრის გამო, დაირღვა სასამართლო განხილვის განსჯადობის წესი;
8. საქმეში არ არის სასამართლო სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი.

დამატებით საკასაციო საჩივარში ადვოკატი ა. კ.-ძე მიუთითებს, რომ საქმის მასალებით უტყუარად დადგენილი არ არის, მ. ო.-ის არასრულწლოვანი შვილები იმყოფებოდნენ თუ არა მამის მკვლელობის ადგილზე. ესეც რომ დადგენილი იყოს, მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, მკვლელი პირდაპირ ასეთი განზრახვით მოქმედებდეს, რაც განაჩენით არ დასტურდება.

დიდი პალატის სხდომაზე ადვოკატმა ა. კ.-მ და მსჯავრდებულმა თ. მ.-მა ითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, რასაც მხარი არ დაუჭირეს ადვოკატმა ვ. ქ.-მ, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. კ.-მა და პროკურორმა გ. მ.-მ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ მოუსმინა რა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, განაჩენის კანონიერება, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი თ. მ.-ლის მიმართ უნდა შეიცვალოს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრის ნაწილში, სხვა ნაწილში კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილია, რომ ურთიერთ შეურაცხყოფის გამო განაწყენებულმა თ. მ.-ლმა მოკვლის განზრახვით, სანადირო თოფიდან დამიზნებით ესროლა მ. ო.-ლს. მიღებული დაზიანებების შედეგად მ. ო.-ლი უძალვე გარდაიცვალა.

უტყუარად დადგენილია ისიც, რომ თ. მ.-სათვის ცნობილი იყო, რომ მ. ო.-ლს თან ახლდნენ მცირეწლოვანი შვილები (8 და 11 წლის), რომლებსაც იქვე ხედავდა მათი მამისათვის თოფის სროლის დროს. დაჭრილ და მიწაზე წაქცეულ მამასთან პირველმა 8 წლის ტ.-მ მიიღბინა, ხელში დაიჭირა მისი გასისხლიანებული თავი და ცდილობდა დახმარება გაეწია, მაგრამ მ. ო.-ლი მისსავე ხელებში გარდაიცვალა. თვალწინ მამის მკვლელობა იმდენად მძიმე განცდა იყო შვილისათვის, რომ არასრულწლოვან ბავშვს სიტუაციური ნერვოზი განუვითარდა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

ამრიგად, დიდ პალატას მიაჩნია, რომ თ. მ.-ლის მიერ მ. ო.-ლის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, მთლიანად დადასტურებულია. შესაბამისად, წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლო კოლეგიამ სწორად განსაზღვრეს დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაცია.

პალატას საკვებით უსაფუძვლოდ მიაჩნია საკასაციო საჩივრის ის მოსაზრებები, რომ: „განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს“; „საქმე გამოძიებულ იქნა დამცველის მონაწილეობის გარეშე“; „ბრალდებული და დამცველი არ ყოფილან უზრუნველყოფილნი საქმის მთლიანი მასალების გაცნობის შესაძლებლობით“; „ბრალდებული კანონით დადგენილი წესით არ არის სამართალში მიცემული“; „სასამართლოს არ უმსჯელია და არ ჩაუტარებია კანონით სავალდებულო ექსპერტიზა“; „ბრალდების არასწორი იურიდიული კვალიფიკაციის გამო დაირღვა სასამართლო განხილვის განსჯადობის წესი“ და რომ „საქმეში არ არის სასამართლო სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი“.

საქმის მასალების მიხედვით საკასაციო საჩივრის ვერც ერთი ეს მოსაზრება დადასტურებას ვერ პოულობს.

ამასთან, დიდ პალატას მიაჩნია, რომ სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლო კოლეგიამ სრულყოფილად არ გაითვალისწინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და განსასჯელს შეუფარდა მეტისმეტად მკაცრი სასჯელი. სახელდობრ: სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ ჩხუბის ინციდენტი, რასაც შედეგად მოჰყვა მკვლელობა, წამოიწყო აწ გარდაცვლილმა მ. ო.-ლმა და მსჯავრდებული ამ შემთხვევამდე ხასიათდებოდა ფრიად დადებითად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

ზემოაღნიშნულის გამო დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით, 562-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 568-ე და 571-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 24 აპრილის განაჩენი შეიცვალოს იმ მიმართებით, რომ თ. მ.-ლს სამი წლით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და მას მოსახდელად დარჩეს 17 (ჩვიდმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, იგი საბოლოოა და მისი გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების შემთხვევაში, საქართველოს სსსკ-ის 593-601-ე მუხლებით დადგენილი წესით.